ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N14

2022 წლის 19 მაისი
ქ. ონი

ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ონში, ჩაჩაშვილის ქ. N99-ში (ს/კ 88.18.28.074) მდებარე უძრავი ქონების სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანებისთვის (ს/კ 239403463) პირდაპირი განკარგვის წესით, სარებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების და 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს: ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ონში, ჩაჩაშვილის ქ. N99-ში (ს/კ 88.18.28.074) მდებარე უძრავი ქონების სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანებისთვის (ს/კ 239403463) პირდაპირი განკარგვის წესით, სარებლობის უფლებით 2 წლის ვადით უსასყიდლოდ გადაცემაზე შემდეგი პირობით: მოსარგებლე განახორციელებს და უზრუნველყოფს ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის იმ სამედიცინო სერვისებს (საჭიროების შემთხვევაში ტრანსპორტირებას მოახდენს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკურ გაერთიანებაში), რაც ხელმისაწვდომი არ არის ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის.

2. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზაჩანა მარკოიშვილი